

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

# კ ა ტ ა ლ ო გ ი

ზუგდიდი

2017 წელი

## ინფორმაცია

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის:ზუგდიდი. შ.კიტას N 9

ელ.ფოსტა: [zugdidisakademia@gmail.com](mailto:zugdidisakademia@gmail.com)

დირექტორი: ნესტანი აბსავა

მობილური ტელეფონი: 577 77 85 16 ;

ვებგვერდი :[www.akademiazug.ge](http://www.akademiazug.ge)

## მისია

საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მისიაა თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის შექმნით მოამზადოს მუდმივად ცვალებადი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯი განუხრელად იზრუნებს კურსდამთავრებულების კარიერის განვითარებაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე; მაღალკვალიფიცირებული კადრების მოზიდვასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე; კოლეჯის პედაგოგიური პერსონალისა და სხვა სტრუქტურების თანამშრომლების ცოდნის განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

1. მასაჟისტი მესამე საფეხური
2. ოფისის მენეჯერი მეოთხე საფეხური
3. ბულალტერი მესამე საფეხური

## პროფესიული პროგრამების აღწერილობა:

### 1. სახელწოდება: მასაჟისტი



- **პროგრამის ხელმძღვანელი:** თეა ჭეჭია
- **ტელეფონი-** 558 71 1 6 83
- **საფეხური:** მესამე
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 60 კრედიტი
- **სწავლის ხანგრძლივობა :** 40 კვირა
- **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

#### პროგრამის მიზნები:

მასაჟისტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

შესაბამისი საფეხურის ცოდნის უნარების და ღირებულებების სპეციალისტების მომზადება, რომლის საქმიანობა უპასუხებს ადგილობრივი ჯანმრთელობის სფეროს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმუშავებს სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა ფაზაში (ჰოსპიტალურ, კონვალესცენტური და პოსტკონვალეს ცენტური), სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტის სამკურნალოდ. მესამე საფეხურის მასაჟისტმა უნდა იცოდეს: სამედიცინო მასაჟის მიზნები და ამოცანები; სამკურნალო ფიზკულტურის ძირითადი საშუალებები, მათი ჩატარების ფორმები და მეთოდები; ესთეტიკურ სალონებში მასაჟის კაბინეტის ორგანიზაცია. კლასიკური მასაჟის მეთოდების გამოყენება; ტალახისა და პარაფინის აპლიკაციების დადება, საყრდენ – მამოძრავებელი სისტემის სამკურნალო ფიზკულტურის ჩატარება; ჰიპერტონული დაავადების დროს სამკურნალო მასაჟის გაკეთებისთვის უებურება; ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება.

#### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები</li> <li>• დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი</li> <li>• პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში;</li> <li>• სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო- სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლის მიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე მოქმედებისას)</li> <li>• სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები,</li> </ul>
-------------------------------------	---

	<p>რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: - საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციურიდასხვ.)</li> <li>• კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითითერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელივარჯიში; ასევე - მოძრაობისრეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი</li> <li>• სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემოსან-ჰიგიენური წესებისდაცვით, სამასაჟო ტახტებისფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟოზეთები, საცხებიდამალამოები; სპეციფიურიაპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა</li> <li>• ანტი ცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება</li> <li>• პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკები</li> <li>• ურთიერთობის ფსიქოლოგია•</li> <li>• გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები; შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდიკები, ინსტრუმენტები და მასალები.: წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არტერიული წნევის გაზომვა, პულსისადა სუნთქვისდა თვლა; პერკუსია და პალპაცია</li> <li>• ტალახის, პარაფინისა პლიკაციის დადება</li> <li>• მასაჟის ადმიტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა</li> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა</li> <li>• სამკურნალო მასაჟის მეთოდიკების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად)</li> <li>• კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვადეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში</li> <li>• ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება</li> <li>• სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკების გამოყენება</li> </ul>
<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. უნარი შესწევს:</p>

	<p>დროულად ამოიციოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელის შეშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ამოიციოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების ჩატარებაში.</li> </ul>
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოენის პრაქტიკული გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უცხო ურენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა დაგაზრება</li> <li>• კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან</li> <li>• სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება</li> <li>• შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე</li> <li>• მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყო ფენმის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p>იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცავს სანიტარულ ნორმებს</li> <li>• იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს</li> <li>• პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი</li> </ul>

### დასაქმების სფერო

მასაჟისტარის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც შეუძლია მუშაობა - სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალეს ცენტურ ფაზაში. მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, სპორტულ გუნდებში, ბალეტისა და ცეკვის ანსამბლებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში. მასაჟისტს შეუძლია ექიმი-რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.

### პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებებია:



**(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

**(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.**

### **სწავლების მეთოდები:**

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ სალექციო კურსი, სადაც ხდება მასალის თეორიული საფუძვლების მიწოდება.

**დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი შედეგის მიღწევისთვის საჭირო საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ პროფესიულ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**წიგნზე მუშაობის მეთოდი** - დამოუკიდებელი მუშაობის საათებში პროფესიული სტუდენტები ამუშავებენ ლიტერატურას და დამხმარე მასალებს. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა პროფესიული სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულად ატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

## **ჩვენი პარტნიორები**

საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე:

შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა - ზუგდიდი, გამსახურდიას პირველი შესახვევი N 2  
შპს კლინიკა სანუსი

**ინფორმაცია პროგრამის ხემძღვანელის შესახებ:**

სახელი, გვარი: თეა ჭეჟია

ტელეფონი: 599 26 67 71; ელ-ფოსტა



**1.სახელწოდება: ბუღალტერი**



- **პროგრამის ხელმძღვანელი:** ირაკლი ჩანგელია
- **საფეხური:** მესამე
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტერ-მონაგარიშე.
- **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:** 30 კრედიტი
- **სწავლის ხანგრძლივობა :** 20 კვირა
- **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**პროგრამის მიზნები:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ბუღალტერ-მონაგარიშის მომზადება შრომის ბაზრისათვის, რომელიც ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ უნარ ჩვევებს, ძირითადად ბუღალტრული აღრიცხვის, სამეურნეო პროცესებსა და საქმიანობის არსს, ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლებს, პროგრამის მიზანია პროფესიულ სტუდენტს შესძინოს ეკონომიკური კატეგორიების ცოდნა; გამოუმუშაოს სამეურნეო ოპერაციების აღქმის და საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციების ასახვის, სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის, ტიპური/გამეორებადი ოპერაციების ბუღალტრულ ანგარიშებში დამოუკიდებლად ასახვის, საცდელი ბალანსის შედგენის უნარი.

**დასაქმების სფერო**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბიზნეს ერთეულებში, როგორც ბუღალტერი, საფინანსო სამსახურის (ბუღალტერიის) სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი 2 (დამხმარე ბუღალტერი, რომლის სამუშაო ადგილი ბიზნეს ერთეულებში შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც ბუღალტრის მოადგილე, ბუღალტრის ასისტენტი და სხვ.) და ა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების, ასევე ბიზნესის სამართლის და ეკონომიკის საფუძვლების ცოდნა.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება;</li> <li>• პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა;</li> <li>• პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფითი უწყისების შედგენა;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუღალტრული გატარებამინიშნებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;</li> <li>• ტიპიური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;</li> <li>• დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანა, ოპერაციების კორექტირება.</li> <li>• საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადება</li> </ul>
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშგების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.
კომუნიკაციის უნარი	აქვს უნარი მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება. შეუძლია მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე. აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	იცნობს ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნორმებს. არის პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი.

### პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

### სწავლების მეთოდები:

წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სწავლების შემდეგი მეთოდები:

ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, შემთხვევების განხილვა და ანალიზი, დისკუსია, დებატები, საშინაო დავალების შემოწმება, გამოკითხვა, კაზუსების განხილვა, სავარჯიშოების შესრულება, ამოცანების ამოხსნა, კომპიუტერში პრაქტიკული დავალებების შემოწმება (დემონსტრირება), ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამისი სილაბუსში.

## ჩვენი პარტნიორები

საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე:

ა(ა)იპ საუნჯე -ზუგდიდი,რუსთაველის ქ N 52 I სართული

შპს ავდიტორიული ფირმა ლაზიკა აუდიტი -ზუგდიდი ,რუსთაველის ქ N 94

**ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:**

სახელი,გვარი: ირაკლი ჩანგელია

ტელეფონი: 599 47 05 35

ელ-ფოსტა-iraklichangelia@yahoo.com

**1.პროგრამის სახელწოდება :** ოფისის მენეჯერი



- **პროგრამის ხელმძღვანელი:** მამია შენგელია
- **საფეხური:** მეოთხე
- **მისანიჭებელი კვალიფიკცია:** ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და სწავლის ხანგრძლივობა :**
- **ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის:**

მოცულობა - 89 კრედიტი;

ხანგრძლივობა - 16 კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

მოცულობა - 119 კრედიტი;

ხანგრძლივობა - 24 კვირა;

- **დაშვების წინაპირობა:** საშუალო განათლება

**პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს ამ პროგრამის გავლის შემდეგ ჰქონდეთ ის აუცილებელი კომპეტენციები და უნარები, რომლებიც დაეხმარება მათ დასაქმდნენ ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. კურსდამთავრებულს შეეძლება სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული პროცედურების წარმოება.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საოფისე საქმიანობის ადმინისტრირება
- საოფისე მარაგების მართვა
- კორესპონდენციის ორგანიზება
- დოკუმენტების (საგანმკარგულებლო, საინფორმციო, საადმსრულებლო) პროექტების შედგენა
- პერსონალისსაქმიანობისორგანიზებადასაკადროსაქმისწარმოება
- მიღებისა და ღონისძიებების ორგანიზება

**დასაქმების სფერო**

ოფისის მენეჯერის სამუშაო გარემოს წარმოადგენს ოფისი. ოფისის მენეჯერი საქმდება საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, ორგანიზაციის შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად.

### პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში

## ჩვენი პარტნიორები

საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე:

ა(ა)იპ საუნჯე- ზუგდიდი, რუსთაველის N 52 I სართული

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ცხუმ ეგრისი“ კოსტავას N 32

ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

სახელი, გვარი: მამია შენგელია

ტელეფონი: 579 40 26 64

ელ-ფოსტა: m.shengelia80@gmail.com



2018 წელი

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კეთილმოწყობილი აუდიტორიები:





კომპიუტერული კლასი:



ბიბლიოთეკა:





## პირველადი სამედიცინო პუნქტი:



### ჩვენი აფთიაქი

ხშირად ადამიანის ყოფნა-არყოფნა დაუყოვნებელ სამედიცინო დახმარებაზეა დამოკიდებული, რომლის გაწევაც სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე ან პაციენტის კლინიკაში მიყვანამდე მის ირგვლივ მყოფებსაც შეუძლიათ. ჩვენს დაწესებულებაში არის სათანადოდ დაკომპლექტებული მინი-აფთიაქი, რომელშიც ინახება პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტები და სამედიცინო საშუალებები. თითოეულს თან ახლავს გამოყენების ინსტრუქცია.

### სამკურნალო საშუალებანი:

ვალიდოლი (აბები); ვალოკორდინი და კორვალოლი (წვეთები); პარაცეტამოლი (აბები); ასპირინი, ანალგინი ან ბარალგინი (აბები და ამპულები); ალბუციდი (თვალის წვეთები); ლევოვინიზოლი (აეროზოლი); ნიშადურის სპირტი (ამიაკის 10%-იანი ხსნარი); ნო-შპა (აბები); იმოდუმი (კავსულები); ნაფტიზინი, ან გალაზოლინი, ან სანორინი (ცხვირში ჩასაწვეთებელი 0,05-0,1% ხსნარი).

### ანტისეპტიკური საშუალებანი:

სამედიცინო სპირტი (96%-იანი); წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი); ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი); იოდი (5%-იანი სპირტხსნარი).

### შესახვევი და დასამუშავებელი საშუალებანი:

სტერილური საფენები და ბაქტერიოციდული პლასტიკები ჭრილობებისთვის; ჰიგროსკოპული ბამბა და ბინტი; ერთჯერადი ხელთათმანები, თერმომეტრი, ერთჯერადი შპრიცები, პიპეტები თვალის, ცხვირისა და ყურის წვეთებისთვის, სათბურა, ლახტი.

